ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 416

"16" აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ. 01024008500) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გენადი თავართქილაძის (პ/ნ. 01024008500) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ. 01024008500) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გენადი თავართქილაძის (პ/ნ. 01024008500) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №24.1307.1442 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და გენადი თავართქილაძეს (პ/ნ. 01024008500) შორის 2024 წლის 16 მაისს გაფორმებული „პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 7.1.2 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 1 ივნისიდან 5 ივნისის

ჩათვლით პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით) გენადი თავართქილაძის (პ/ნ. 01024008500) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე